

სარჩევი

შპს მედია პლუსის ფინანსური ანგარიშგება

შაბლონის აღწერა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	A
სრული შემოსავლის ანგარიშგება	B
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	C
ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება	D

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში	Tab No.	31-აგვისტო 2020	31-დეკემბერი 2020
არამატერიალური აქტივი	1	-	-
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	2	-	-
თვითღირებულება	3	-	-

დირექტორი
დანიელი ლივნატი

ხელმოწერა



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კომპანია: შპს მედია პლუსი

2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

ერთეულის ვალუტა: ქართული ლარი (ლარი)

	31-აგვ 2020	31-დეკ 2019	31-დეკ 2018	31-დეკ 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	4,388,787	2,459,704	934,758	922,880
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,388,787	2,459,704	934,758	922,880
მიმდინარე-აქტივები				
საგადასახადო ავანსი	13,650	1,428	-	-
ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები	-	25,304,352	18,459,305	10,710,845
სულ მიმდინარე აქტივები	13,650	25,305,781	18,459,305	10,710,845
სულ აქტივები	4,402,437	27,765,485	19,394,063	11,633,725
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	41,145	16,032
სულ ვალდებულებები	-	-	41,145	16,032
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	250	250	250	250
გაუნაწილებელი მოგება	2,437,015	27,504,632	19,352,668	11,617,443
გადაფასების რეზერვი	1,965,172	260,602	-	-
სულ კაპიტალი	4,402,437	27,765,485	19,352,918	11,617,693
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,402,437	27,765,485	19,394,063	11,633,725
შემოწმება	-	-	-	-

დირექტორი

დანიელ ლივინატი

ხელმოწერა



მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

კომპანია: შპს მედია პლუსი

8 თვე დასრულებული 2020 წლის 31 აგვისტოს (შედარებები მოცემულია 12 თვის პერიოდზე)

ერთეულის ვალუტა: ქართული ლარი (ლარი)

	8 თვე დასრულებული 31 აგვისტო 2020	წელი 2019	წელი 2018	წელი 2017
შემოსავალი	4,209,467	11,120,287	17,029,397	11,409,932
თვითღირებულება	(755,620)	(4,772,561)	(9,053,982)	(266,091)
საერთო მოგება	3,453,847	6,347,726	7,975,414	11,143,840
გენერალური და ადმინისტრაციული ხარჯები	(13,745)	(11,960)	(18,179)	(1,092)
სხვა საგადასახადო ხარჯები	-	(13,683)	(4,585)	(970)
სულ საოპერაციო ხარჯები	(13,745)	(25,643)	(22,764)	(2,062)
საოპერაციო მოგება/ზარალი	3,440,102	6,322,083	7,952,650	11,141,778
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი				
გადაფასების მოგება (ზარალი)	2,779,459	1,131,807	480,650	475,665
ზარალი კრიპტოვალუტის გადაფასებაზე	-	-	(698,075)	-
კრიპტოვალუტის გადაფასებიდან ზარალის შეცვლა	-	698,075	-	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	2,779,459	1,829,882	(217,425)	475,665
მოგება დაბეგვრამდე	6,219,561	8,151,965	7,735,225	11,617,443
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	-	-	-	-
მოგება პერიოდისთვის	6,219,561	8,151,965	7,735,225	11,617,443
სრული შემოსავალი				
მოგება კრიპტოვალუტის გადაფასებაზე	1,704,570	260,602	-	-
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის	7,924,131	8,412,567	-	-
შემოწმება	-	-	-	-

დირექტორი

დანიელ ლივინატი

ხელმოწერა



ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება

კომპანია: შპს მედია პლუსი

8 თვე დასრულებული 2020 წლის 31 აგვისტოს (შედარებები მოცემულია 12 თვის პერიოდზე)

ერთეულის ვალუტა: ქართული ლარი (ლარი)

	8 თვე დასრულებული 31 აგვისტო 2020	წელი 2019	წელი 2018	წელი 2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	6,219,561	8,151,965	7,735,225	11,617,443
კორექტირება:				
დამატება: ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	-	-
დამატება: ზარალი კრიპტოვალუტის გადაფასებაზე	-	-	698,075	-
ნაკლები: ზარალის შეცვლა კრიპტოვალუტის გადაფასებიდან	-	(698,075)	-	-
საოპერაციო ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე	6,219,561	7,453,890	8,433,300	11,617,443
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	-	-	-	-
ცვლილება წინასწარ გადახდილი გადასახადებში	(12,222)	(1,428)	-	-
ცვლილება სავაჭრო გადასახდელებში	-	-	-	-
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	-	(41,145)	25,113	16,032
ცვლილება მარაგებში	-	-	-	-
წმინდა ნაღდი ფული / გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში	6,207,340	7,411,316	8,458,413	11,633,475
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ქონების, ქარხნისა და აღჭურვილობის შეძენა არამატერიალური აქტივების შეძენა (კრიპტოვალუტა)	- (224,513)	- (566,268)	- (709,953)	- (922,880)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	(224,513)	(566,268)	(709,953)	(922,880)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან შემოსავალი საწესდებო კაპიტალით გადახდილი დივიდენდები	- (31,287,179)	- -	- -	250
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	(31,287,179)	-	-	250
ფულადი სახსრებისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება).	(25,304,352)	6,845,048	7,748,459	10,710,845
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	25,304,352	18,459,305	10,710,845	-
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში				
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	-	25,304,352	18,459,305	10,710,845

შემოწმება

დირექტორი

დანიელ ლივინატი

ხელმოწერა



არამატერიალური აქტივი
კომპანია: შპს მედია პლუსი

აღწერა	31-აგვ 2020	31-დეკ 2019
კრიპტოვალუტა	4,388,787	2,459,704
სულ	4,388,787	2,459,704

შემოწმება

დირექტორი

დანიელ ლივნატი

ხელმოწერა



ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები
კომპანია: შპს მედია პლუსი

აღწერა	2020 31-აგვ	2019 31-დეკ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები ეროვნულ ვალუტაში	-	6,748
ფულადი და ფულის ეკვივალენტები უცხოურ ვალუტაში	-	25,297,604
სულ	-	25,304,352

შემოწმება

დირექტორი

დანიელ ლივინატი

ხელმოწერა



თვითღირებულება
კომპანია: შპს მედია პლუსი

აღწერა	2020 31-აგვ	2019 31-დეკ
ხელფასი	73,892	118,718
სერვისის ღირებულება	681,728	4,653,844
სულ	755,620	4,772,561

-

-

შემოწმება

დირექტორი

დანიელ ლივნატი

ხელმოწერა



ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

მედია პლიუსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. მისი ძირითადი საქმიანობაა მედია მარკეტინგი.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად

გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს)

შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს

3.2095 (2020 წლის 31 აგვისტოსთვის ერთი ამერიკული დოლარი 3.0696 ლარი, ერთი ევრო 3.6243). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური

ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილიქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლომომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც

შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების

სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

3.5 გაუფასურება

3.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.7 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდისპერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

